ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3040354

ნომერი: AR1468875

თარიღი : 06.01.2017

გაცემის თარიღი : 12.01.2017

გაცნობის თარიღი : 13.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ ხეჩუაშვილი პ/ნ 01019001752
- თბილისი უ.ჩხეიძის ქ.#10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: წარმოდგენელი მასალის განხილვის დროს დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.72.14.012.022 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებლ ზონა 2 (სზ–2), რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;

განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
0,8
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
250
კვ.მ
მინიმალური სიგანე
9
მეტრი
მინიმალური სიღრმე
15
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
15*
მეტრი
შენიშვნა
* სასტუმროსთვის

იმ შემთხვევაში თუ აპირებთ მიწის ნაკვეთის გამიჯვნას წარმოდგენილი სქემის მიხედვით, თავდაპირველად უნდა მიიღოთ ქალაქგეგმარებით დასკვნა ნაკვეთების გამიჯვნასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი სქემის მიხედვით ნაკვეთის გამიჯვნა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის რადგან წარმოდგენილი სქემის მიხედვით დარეგისტრირება იგეგმება მიმდებარედ ჩამოყალიბებული ერთიანი დაგეგმარების სტრუქტურიდან ამოვარდნილი კონფიგურაციით. სხვა ალტერნატიული სქემის წარმოდგენის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ ნაკვეთის გამიჯვნა უნდა განხორციელდეს ისეთი კონფიგურაციით, რომ მიწის ნაკვეთების გაბარიტული ზომები აკმაყოფილებდეს ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ განვითარების ნორმებს.

იმ შემთხვევაში თუ გსურთ თითოეულ მიწის ნაკვეთზე ერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, ნაკვეთების გამიჯვნის შემდგომ უნდა მომართოთ სამსახურს ახალი მიწის ნაკვეთების მომზადების მოთხოვნით და მოითხოვოთ არსებული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. თუ არ გსურთ ნაკვეთის გამიჯვნა

საკითხის განხილვა შესაძლებელია საპროექტო ტერიტორიაზე ბლოკირებული მოცულობების გაჩენითაც.

ყველა ზემოხსენებული შემთხვევისთვის საკითხის განიხილება ნაკვეთის მესაკუთრეს თანხმობის საფუძველზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, კირაც გიწერია სწორია.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.